№ 234

კვირა, 29 ოქტომბერი 1895

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877

# ივერია

№ 234

კვირა, 29 ოქტომბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

და ... ის დასაბარებლად
უნდა მიჰმართონ
გამავრც. საზოგადოების ... წერა-კითხვის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი№ 227

„ივერია"

გამოვა 1896 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის" რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА".

ვკისრულობ

ყოველ გვარს სასამართლო საქმეს, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე მამულების ბანკებში დაგირავებას.

მსურველთ მოვკმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

საგანგებო კრება

თანახმად საზოგადოების წესდების § 11-ისა, დანიშნულია 29 ღვინობისთვეს, დილის 11 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1, არჩევანი სარევიზიო კომისიისა მიმდინარე წლის წლიურის ანგარიშის შესამოწმებლად;

2, არჩევანი კომისიისა, რომელმაც უნდა გამოძებნოს საშუალებანი საზოგადოების ახლანდელის სკოლების გასაუმჯობესებლად და ახლების დასაარსებლად;

3, დამატებულის ხარჯის გადადება

და 4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

(6—6).

კაბინეტი კბილის ექიმთა

ვ. ი. ჭიჭინაძისა და ძ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—საღამოს 4—7 საათამდე.

მთავრობის ნება-რთვით შესდგება განსაკუთრებითი კრება ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურობისა აღმოსარჩევლად ბორჩალოს მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლისა თავისის კანდიდატებით.

ალმასრულებელი ბორჩალოს მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლის თანამდებობისა იოსებ შანშეს ძე შანშიევი აუწყებს ამას იმ თავად-აზნაურთ ბორჩალოს მაზრისას, რომელთაც უფლება აქვთ კენჭით შემოსვლისა არჩევანებში და უმორჩილესად სთხოვს მობრძანდნენ ხუთს მომავალ ნოემბრისას ცხრა საათზედ დილით, ზემოხსენებულ პირთა აღმოსარჩევლად, ტფილისის კეთილშობილ დეპუტატთა კრების კანცელარიის სადგომში და ვიდრე კრება ესდგებოდეს წარმოადგინონ დეპუტატთა კრების კანცელარიაში საბუთი თავიანთ უფლებაზედ კენჭით შესვლისა არჩევანებში.

(3—6.—3)

## ტფილისი, 29 ოქტომბერი.

—

შვიდის წლის წინად საქართველოს დიდი უბედურება ეწვია. მაშინ შორაპნის მაზრის სოფელ ალისუბანში, თუ არა ვცდებით ნ. ჩიკვაიძის მამულში, პირველად აღმოჩენილ იქმნა ჩვენის სიმდიდრის—ყურძნის—გამანადგურებელი მტერი—ფილოქსერა. ამ ამბის პირველმა გაგონებამ საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ შემდეგში თითქოს შევეჩვიეთ სამწუხარო ხვედრს და როგორღაც გულგრილად ვისმენთ ხოლმე ახალ-ახალ ცნობებს ფილოქსერის შესახებ. განა-კი შესაძლებელია მერე ამ საქმეში გულგრილობა? განა შესაძლებელია გავჩერდეთ და გულზე ხელ-დაკრებილთ ვუცადოთ იმ ჟამს, როდესაც ჩვენის ქვეყნის უმრავლესობა მათხოვრად გარდაიქცევა?!. მაგრამ იქნება ბევრს ჰგონია, რომ მტერი ისე საშიში არ იყოს, როგორც სწერენ და ამბობენ სპეციალისტები? ვინც ფაქტებს დაუკვირდება, ის დარწმუნდება, რომ არავითარს სპეციალურს გამოკვლევას არ შეუძლია უფრო მეტად, საშიშრად დაგვისურათოს ჩვენი მდგომარეობა, ვიდრე თვით ფაქტები გვეუბნებიან.

ამ ჟამად იმერეთი სრულიად უნუგეშო მდგომარეობაშია. შორაპნისა და ქუთაისის მაზრის დიდი ნაწილი ისეთ ნაირად არის ფილოქსერით მოდებული, რომ მრავალს სოფელში ვენახი სრულიად გამხმარა და მიწის პატრონნი სიმინდს სთესვენ. ის ადგილები, რომელიც განთქმულნი და გამდიდრებულნი იყვნენ ღვინით, როგორც მაგალითად სვირი, როდინაული, კვალითი, თერჯოლა და სხვა მრავალი, მეთვალყურეთა მოწმობით სამწუხარო სურათს წარმოადგენენ: ვენახი ხმება, ყოველ წელს მრავალი ვენახი იჰრება ‘დ სიმინდით ითესება. ამ მოკლე ხანში ფილოქსერა რაჭაშიაც აღმოჩნდა. მაშასადამე, დასავლეთ საქართველოს ის ადგილები, სადაც დღემდის მევენახეობა არსებობდა, იღუპება საზარელ მტრისაგან.

პირველ ხანებში ჰფიქრობდნენ, რომ ფილოქსერა აღმოსავლეთ საქართველოს არ მიეკარება, რომ შესაძლებელი იქნება დააკავონ ის ლიხის მთის იქით, მაგრამ საუბედუროდ, იმედმა უმტყუნა ყველას და ფილოქსერა ტფილისის გუბერნიაშიაც აღმოჩნდა. ჯერ-ჯერობით ის ქართლში ანადგურებს ვენახებს, მაგრამ სპეციალისტთა მოწმობით შორს არ არის ის დრო, როდესაც ეს უბედურება კახეთსაც ეწვევა! ამნაირად ეს

## ფელეტონი

### თ. რ. ერისთავს.

—

როს მშრომელ გლეხთა ვაებით
საბრალოდ აცრემლებული
ზეცას შეჰკვნესდი, მგოსანო,
ერისთვის თავ-დადებული;
როს ერის კეთილდღეობით
საამოდ აღტაცებული,
სიმთ აჟღერებდი ტკბილ-ხმაზედ,
ვით ზეცით მოვლინებული;
როს დაჰგალობდი სამშობლოს,
ის იყო შენი ტრფიალი,
მისთვის გაჰქონდა შენს ჩანგსა
გულის-წარმტაცი წკრიალი...
მაშინ, მგოსანო, ქართველი
თურმე ციურს ძეგლს გიგებდა
და წარსულს შრომას, ვაებას
აწმყოთი გიგვირგვინებდა.
შენმა სიტყვებმა მის გულში
უკვე გაიდგა ფესვია,
მოიმკე წმიდა მხცოვანო,
რაც სიყრმით დაგითესია;
ნამგლად იხმარე ერისგან
გრძნობით ჰაერში ძახილი:
ვაშა, რაფიელ! გამრავლდეს
„მამულში შენებრი შვილი"!!!

სოსელო.

### საკვირაო ფელეტონი.

ეს კვირა კიდევ ერგება რაფიელს.—რით აიხსნება ასეთი პატივის-ცემა?—ვინ დაგვამკვიდრებს აღთქმის ქვეყანაში.—დიდებულის მოძღვარის ხვედრი სარჩობელა და კოცონია, რაფიელს-კი სხვა დარი დაუდგა.—მან საგანს მიაგნო, რატომ უყვარს სამშობლო ქართველს და რისთვის.—რა უშლის იმის დაცვას?—რა წამალი მოიგონა რაფიელმა?—ჩაგრულთა და მჩაგვრელთა შორის ზავი მხოლოდ ალტრუისტულს გრძნობას შეუძლია ჩამოაგდოს, რაფიელმაც ასე მომართა ჩანგი.—რატომ დაუჯდა დუმაში ჩვენს მგოსანს?—რა უწყობდა მას ხელს?—რა ვისწავლეთ ამ იუბილეს გამო?—ჩემი ავ-ყიობა.

დღევანდელი კვირა კიდევ დავუთმოთ ჩვენს ძვირფასს, საყვარელს მოხუცს პოეტს, რომელიც ორმოცდა-ათი წელიწადი გულმოდგინედ და ბეჯითად ემსახურა ჩვენს სამშობლოს.

აი, ერთის კვირის განმავლობაში, ჩემო მკითხველო, სულ ჩვენი უხუცესი მგოსნის ამბავს ჰკითხულობ, გესმის მისი ქება-დიდება; ხოტბაშესხმის წარმომთქმელები ერთი-მეორეს ეჯიბრებიან, ათას-ნაირად სიტყვებსა ჰკაზმვენ და ყველა-კი საერთოდ იმას ესწრაფიან, რომ ცათამდე აიყვანონ ამ კვირის გმირი, მხცოვანი თ. რ. ერისთავი. მე მგონი, ვისაც შემდეგისათვის ჩვენ მგოსანთა, თუ სხვა მოღვაწეთათვის ქება-დიდების შესხმა მოუნდება, მისი შეთხზვისათვის თავის-ტეხა არ დასჭირდება: გადაშლის წარსულის კვირის „ივერიის" ფურცლებს და იქიდგან ამოჰკრებს ყოველს მაგალითს მოღვაწის საქებ-სადიდებლად. რადგანაც ჩვენში ძვირია საერო სარგებლობის მომტანი მოღვაწენი და მწერალნი, რადგანაც საქართველოში თითქმის პირველად მოხდა ასეთი, ღირს-შესანიშნავი და გულის ხმის საყოფი დღესასწაული, როგორიც საქართველომ იდღესასწაულა 22-ს ოქტომბერს, ნუ მოგბეზრდება, მკითხველო, ამის შესახებ ნურც დაწერილის წაკითხვა, ნურც ნათქვამის გაგონება. შესაძლებელია-კი გიკვირდეს! მეც, უნდა სწორე გითხრა, გამოურკვეველს აღტაცების ბურანში ვარ და ეს საკითხი მიტრიალებს თავში: რაღა ვსთქვათ მაშინ, როცა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის იუბილეის ვიდღესასწაულებთ, რაღა ვქნათ და რაღა ვთქვათ მაშინ, როცა არა მარტო პოეტებს, არამედ სხვა მოღვაწეებსაც დასჭირდება მადლობის გრძნობის გამოცხადება. განა რაფიელს ტოლი არა ჰყავს ქართველ მგოსანთა და მოღვაწეთა შორის? ნეტა თუ მხოლოდ მან გამოიგონა უებარი წამალი ყოველის ჩვენი სნეულებისა!? არა, ტოლებიცა ჰყავს და ჩვენ წყლულებთა საკურნებლად მარტო რაფიელის მიერ მოგონებული წამალი არა კმარა.

მაშ რით აიხსნება ასეთი აღტაცება საზოგადოებისა, რითი აიხსნება ასეთი ჩვენში უებრო პატივისცემა? რით იყო თავად-აზნაურთა თეატრის ზალაში გამოწვეული ისეთი სურათი, რომელშიაც ცხადად გამსჭვერდა ბოროტის სრული დამარცხება და კეთილის გაბატონება? როცა სამი ქართველთა პოეტი, სავარძლებზედ წამომსხდარი, თვისს საყვარელ მამულისშვილთა წარმომადგენელთ თავს დასცქეროდნენ, ისე გეგონებოდა მოსე წინასწარმეტყველს ისუ ნავესი და ქალიბი მხარში შესდგომიან, რათა ღვთისამიმართ სალოცავად აღპყრობილი დაღალული ხელები შეუჩერონ და, თუ რაფიელმა ვერ მოასწრო ქართველთა აღთქმის ქვეყანაში დამკვიდრება, ილია და აკაკი ხომ უთუოდ მიაღწევენ ამასაო!.. და ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი აზრი და სურათები არ გვიქროდა თავში, როცა ტაშისა და ვაშას ხმას მოზვირთებული ხალხისას ჰაერში გრგვინვა გაჰქონდა და საერო დღესასწაულის სიმღერასა და ჟრიამულს ყოველი ქართველის გული ერთბაშად აღეძრა? განა რაფიელმა დიდებული თეორია გვიქადაგა, ჯერ სხვისაგან შეუმჩნეველი, მომაკვდავთაგან მიუწდომელი ჭეშმარიტება აღიარა? თუ ასე მოხდა, მასაც ის დღე უნდა დასდგომოდა, როგორც სხვა მსოფლიო რეფორმატორებს: ძვირად მომხდარა, რომ ერისა და ხალხისათვის მოღვაწეს მისსავე სიცოცხლეში დასდგომოდეს დაფნის გვირგვინი. პირ-იქით ასეთს კაცებს სარჩობელაზედ ჰკიდებდნენ, კოცონზედ ხრაკავდნენ; მათი მოღვაწეობის ნაყოფიერება ასი, ორასის წლისა და ხანგრძლივი ჟამის შემდეგ გაუგიათ და დაუფასებიათ.

რაფიელს-კი სულ სხვა დარი დაუდგა. მან სიცოცხლეშივე იგემა ნაყოფი თვისის შრომისა, თვითვე მიიღო ჩვენის ქვეყნის ყოველი მხრიდგან მოძღვნილი მადლობის სალამი და ეს იმიტომ მოხდა, რომ მან მიაგნო საჩვენო პოეზიის საგანს და თავისს სამოღვაწეო ასპარეზზედ, თუმცა-ღა გვიან, მაგრამ მაინც მტკიცედ ჩასჭიდა ხელი მას. ეს ის საგანია, რომ ქართველთათვის ჭეშმარიტი მამულის სიყვარული აღეძრა ამ ზნეობა-გონების გათახსირების ჟამს და ყველა ჩვენის ერის წოდებათა შორის ნამდვილი ძმობა ჩამოვარდნილიყო, რათა შეერთებული ძალით მამულიც დაეცვათ და პროგრესსის უღელშიაც შებმულიყვნენ. ეს საგანი ახლა დამწიფებულია თითქმის ხალხის საუკეთესო ნაწილის გრძნობა-გონებაში და ამიტომ რაფიელის ჩანგის ჟღერას ხალხის გოდებამ თავიდგანვე ბანი მისცა და ბოლოს ვაშა შესძახა.

დიდი ხანია ქართველი გრძნობს, რომ მისი ქვეყანა—ეს საუცხოვო თაიგული ყოველ-გვარ ჰაერთა და ჰავათა, ყოველ-გვარ ნიადაგთა, წყალთა, მცენარეთა და ცხოველთა, ლითონთა და მადანთა, ყოვლი სიმაღლის მთათა და ბორცვთაგან შედგენილი, ეს მშვენიერი მარგალიტი კუთხე ქვეყნისა, თითქოს ქვესკნელს ზესკნელისათვის უძღვნია, მაგრამ ყ-დ მოწყალეს მისი ალმა სრბოლა განგებ შეუჩერებია, რომ სამოთხის მოსაგონებლად იგი დედამიწის ზურგზედ დარჩენილიყო. ქართველმა იცის, რომ ეს მხარე, სადაც შიმშილი, სენი და ჭირი ფეხს ისე ვერ იკიდებს, როგორც სხვა ქვეყნებში, ისტორიას ჩვენთვის ურგუნებია, რათა ავღორძინდე და გავმრავლდე..- ქართველს ერს ახსოვს, რამდენი სისხლი დაუღვრია მას ხანგრძლივის ჟამის განმავლობაში თვისის სამშობლოს დასაცველად, მას უყვარს იგი, როგორც გამზრდელი დედა; დედის მუცლიდგან გამოსვლისთანავე მას აქ დაუნახავს პირველად ლაჟვარდი ცა, მზე, მთვარე და ვარსკვლავები, აქვე გაუგონია პირველი ხმა გამზრდელი დედისა, აქვე ამოუღგამს ენა, აქვე

უჩინარი მტერი მთელს საქართველოს ჩაიგდებს ხელში და წარმოსადგენადაც ძნელია ის შავი დღე, რო[illegible]საც მას დააყენებს[illegible], სწორედ აქ ქვა ა[illegible] ქვეყანა ისედაც ძალიან იყო ეკონომიურად დაქვეითებული. შინაურს მრავალს მოუწყობლობას თან დაერთო მალე საზოგადო მსოფლიო სამეურნეო კრიზისი და ჩვენი ქვეყანა ძლივს იკვებავდა თავს, ვაჭრობა-მრეწველობის გაძლიერებაზე, სიმდიდრის შეძენაზე ფიქრი უადგილო იყო. თავად-აზნაურობა მეტად დავალიანდა და დაეცა, გლეხობის ერთი ნაწილი მეტად ნელა მიდის წინ, ხოლო უმრავლესობის მდგომარეობა არა თუ უმჯობესდება, არამედ უკან-უკან მიდის. ყველამ იცის —რა მნიშვნელობა აქვს ეკონომიურს კეთილდღეობას ერის ცხოვრებაშიი სწავლა-განათლების საქმე, მრავალკულტურული დაწყებულება, ლიტერატურის ზრდა და სხვა-და-სხვა დამოკიდებულია უმთავრესად ეკონომიურს ფაქტორზე და აი ამიტომაც ჩვენი ქვეყანა ასე ჩამორჩენილია ყოველ მხრით, ასე ძლივს-ძლივობით მილოლავს წარმატების გზაზე...

ყოველს წინანდელს სამწუხარო გარემოებას ახლა თან დაერთო კიდევ ეს ფილოქსერა! თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენში ერთად-ერთი ინტენზიკური კულტურა—მევენახეობა იყო და არის ჯერ-ჯერობითაც, თუ გავიხსენებთ, რომ მევენახეობის ნაცვლად ჩვენს ერს სხვა კულტურა არა აქვს, გარდა სიმინდის მოყვანისა, რომელიც 5—6 ჯერ უფრო ნაკლებ სახეიროსასარგებლოა, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენის ქვეყნის მდგომარეობა ფილოქსერის წყალობით უნუგეშო სურათს წარმო[illegible]ისა და კა[illegible]ობა მხოლოდ მევენახეობით იყო დღემდის სულდგმული, რომ პურსაც, ტანსაცმელსაც ის ღვინით ყიდულობს, გარდასახადს და ყოველგვარ ხარჯს ღვინით ისტუმრებს, თუ გავიხსენებთ, რომ მევენახეობას საქართველოს სხვა ადგილებშიაც ამგვარივე მნიშვნელობა აქვს თითქმის, უნდა ალვიაროთ, რომ ჩვენს გლეხობას საშინელი მომავალი მოელის.

ნუ-თუ ასეთი მდგომარეობა დასაფიქრებელი არ არის? ნუ-თუ ასეთი მდგომარეობა არ თხოულობს ჩვენგან ყველა ძალებს, ყოველს ღონეს, ყოველგვარ საშუალებას?! უთუოდ თხოულობს, მაგრამ საუბედუროდ უნდა ვთქვათ, რომ ამ საქმისთვის ჯერ არაფერი არ გაკეთებულა ჩვენის მხრით მაინც!

ფილოქსერასთან საბრძოლველად მთავრობამ დააწესა საფილოქსერო კომიტეტი, შეადგინა საფილოქსერო დასები, გააჩინა საქარაში ამერიკულ ვაზის სამყნობი, ხარჯავს ყოველწლივ დაახლოვებით 80 ათას მანეთს. ყველა ეს დაწესებულება შვიდი წელიწადია აგერ მოღვაწეობს, მაგრამ მათ მოღვაწეობას ჯერ საქმისთვის არ უშველია. ამას წინად გაზეთ „კავკაზ“-ში დაიბეჭდა ერთის სპეციალისტის წერილები (იხ. №№ 269 და 270), რომლიდგანაც ცხადად სჩანს, რომ ამ მხრივ საფილოქსერო დაწესებულებათა მოღვაწეობამ თითქმის ფუჭად ჩაიარა.

თავ-და-პირველად საფილოქსერო დაწესებულება შეუდგა ავადმყოფ ვენახების წამლობას. იხმარეს ერთი, მეორე საშუალება, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ამ გზით საქმეს არა ეშველება-რა. შემდეგ მთელი ყურადღება ფილოქსერის ლოკალიზაციას მიაპყრეს, მაგრამ ამ მხრით საქმეს არა-თუ უშველეს, პირ-იქით ავნეს კიდევაც. ყველაზედ უფრო საყურადღებოა ამერიკის ვაზის გაშენება. საფრანგეთისა და ავსტრი-უნგრეთის მაგალითმა იმედი დაჰბადა, რომ ამ გზით შეიძლება გადარჩენა ქვეყნის სიმდიდრისა. დაარსდა სოფელს საქარაში ამერიკის ვაზის სამყნობი, გაშენებულ იქმნა საცადი ვენახი, მაგრამ ეს ისე ცოტაა, ისეთი პატარა წვეთია ამ უბედურების ზღვაში, რომ სახსენებელიც არ არის.

მაგალითების მიხედვით და სპეციალისტების აზრით, ამერიკულის ვაზის გაშენება მართლაც ერთად-ერთი საშუალებაა უბედურების ასაცდენად. ხოლო ეს საშუალება ნამდვილი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მიკროსკოპიული დახმარება-კი არ იქნება დღევანდელსავით, არამედ ვრცლად და სავსებით გაჩაღდება ამგვარი მუშაობა...

საფილოქსერო დაწესებულებათა ნაკლებად ნაყოფიერის მოღვაწეობის ბრალი მარტო ამ დაწესებულებათ ვერ მოვახვევთ თავზე. დიდი დანაშაული მიუძღვის ჩვენს საზოგადოებასაც, თავად-აზნაურობას, კავკასიის სამეურნეო-საზოგადოებას და სხ. ყველა ესენი, როგორც ვთქვით, საკვირველს და სრულიად უადგილო გულგრილობას იჩენენ ამ მეტად დასაფიქრებელს მდგომარეობაში. დრო არის შევიგნოთ, რა უნუგეშო მომავალს გვიქადის ვენახის განადგურება. ამ უბედურებასთან ბრძოლა მთავრობის დაწესებულებას არ უნდა ვანდოთ. საჭიროა ყველა საზოგადო დაწესებულება, რომელსაც მეურნეობასთან კავშირი აქვს, ენერგიულად დაეხმაროს კომიტეტს. ჩვენ სრულიად თანახმა ვართ იმ აზრისა, რომელიც რამდენჯერმე გამოითქვა ადგილობრივს გაზეთებში და რომლით საფილოქსერო საქმემ უნდა დაიკავოს პირველი ადგილი თავად-აზნაურობის და სამეურნეო საზოგადოების საქმეთა შორის.

ლალი.

# ახალი ამბავი

*** დღეს, 29 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საგანგებო კრება. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1, არჩევანი სარევიზიო კომისიისა მიმდინარე წლის წლიურის ანგარიშის შესამოწმებლად;

2, არჩევანი კომისიისა, რომელმაც უნდა გამოძებნოს საშუალებანი საზოგადოების ახლანდელის სკოლების გასაუმჯობესებლად და ახლების დასაარსებლად;

3, დამატებულის ხარჯის გადადება

და 4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

*** რ. ერისთავის იუბილეს გამგე კომიტეტი გვთხოვს გამოვაცხადოთ: იმ ფულიდგან, რომელიც შეგროვილი იყო რაფიელ ერისთავის იუბილეს გამართვის ხარჯის დასაფარავად, დარჩა ხარჯის გარდა 120 მან., რომლითაც იუბილეს გამგე კომიტეტმა იუბილარს მიართვა საჩუქარი სადსოვრად იმ დღისა, როდესაც იუბილე იქმნა გარდახდილი.

*** დღეს, 29 ოქტომბერს, რკინის გზის დილის მატარებლით ტფილისში მოელიან სასჯულო საქმეთა სამინისტროს საგანგებო მინდობილებათა მოხელეს დსტ. სტ. სვტ. ჩაპლინს, რომელიც სასჯულო საქმეთა სამინისტროს გამოუგზავნია რაღაც საყურადღებო საქმისა გამო.

*** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს მ. ი. შალიკოვს კერძო პირნი აპირებენ პროექტი წარუდგინონ იმის შესახებ, რომ ბათუმში სახალხოდ კითხვა გამართონ ხოლმე და საზოგადო სამკითხველოც დააარსონ.

*** ბათუმის საბჭოში მომხდარ უსიამოვნებისა გამო ამომრჩევლებმა ბათუმის საბჭოს ხმოსანთ ამ წინადადებით მიჰმართეს: გთხოვთ 23 ოქტომბერს მომხდარ ამბის შესახებ დაინიშნოს მედიატორეთა სამართალი გამოსაკვლევად იმ დანაშაულობისა, რომელიც ჩირქსა სცხებს საბჭოსაცა და ბათუმის საზოგადოებასაც. დამნაშავენი მაშინვე თავს დაანებებენ თავისს მოვალეობას და ხმოსანთა რიცხვიდგან გამოირიცხებიან.

*** ს. მარტვილი: დიდის ხნის ჩვენი სურვილი სამკითხველოს გახსნის შესახებ სრულდება. ქ-ნ ლიუბოვ გაგაწერელიასამ, რომელიც არის მოთავე ამ საქმისა, შეაგროვა ფული და დღეს თუ ხვალ სამკითხველო გაიხსნება.

უგრძვნია პირველი სიყვარული, აქვე უნდა დაიტიროს საყვარელმა ცოლმა და შვილმა, აქვე უნდა მიებაროს მიწას, მაგრამ თითქოს მისს სურვილს არ უყურებს ისტორია: შეუქმნია მას რაღაც ერთგვარი გარემოება, რომელიც ქაჯივით თავს დასდგომია და ხახა აღებულად დაჰყვირის: რასა ჰქვია მამულის სიყვარულიო, გველივით ენა გამოუყვია და ჩუმ-ჩუმად ყურში ჩასჩურჩულებს: რად გინდა ერთობა, შენ შენთვის, ის მისთვისო.

ამ უკუღმართი ხმის ჩასაკმედავად, ამ ბუნებისა და ზნეობის წინააღმდეგ მოსანსალე ენის მოსაკვეცად საჭირო არის, რომ ქართველი ერის ყოველი წოდება, ამ ერის ყოველი დასი, ყოველი ხელობისა და მოძღვრების ქართველი ერთი მეორეს ძმობის, მოწყალების, შებრალების, თანასწორობისა და ამხანაგობის ხელს უწვდიდეს; საჭიროა, რომ შეერთდეს გრძნობა-გონებით, გაიმსჭვალოს ერთის აზრით და ერთხმად და შეუპოვრად შეებას მავნე გადაგვარების და გათახსირებისკენ მიმზიდველს ძალას. რომ ასე მოხდებოდეს, სრული დარწმუნებული ვარ, ზემოხსენებული ხმაც ჩაიკმინდება და ენაც მოიკვეთება. მაგრამ, საუბედუროდ ეს გამაერთებელი, შემაკოწწებელი, ხელი-ხელს ძმურად ჩასაყრელი სული არსაიდგან მოიპერა, ჯერ ისეთი ძალაც არ გაჩენილა, რომ პირადი ინტერესებით გამოწვეულს მეტოქეობას და ურთიერთთ შორის ჩვენში ჩამოვარდნილს ბრძოლას ბოლო მოჰღებოდა. კი, საიმედოა, რომ დასების ბრძოლა, მწერალთა შორის ჩამოვარდნილი შუღლი, პოეტთა შორის მეტოქეობის გამო აშენებული კინკლავი, ინტელიგენციის წევრთა შორის ჩამოვარდნილი ბრძოლა, საზოგადო სამოღვაწეო ასპარეზზედ გაჩაღებული, ლოღიკით, მოსაზრებით, ერთი-მეორის დაჯერებით გასწორდება და მოისპობა; უბრალოდ მოკანწლავე მოქიშპეთ კოცნაც შეარიგებთ, მაგრამ ჩაგრულთა და მჩაგვრელთა შორის ზავის ჩამოგდება, ნივთიერად შენზედ დაბლა მდგომი რომ შენ ძმად გაიხადო, ან შენ თვით მოძმე-მოყვასად გაუხდე, ამას დიდი ზნეობითი ძალა ეჭირვება, დიდი ეკონომიური და ნივთიერი ურთი-ერთობის შეცვლაა უსაჭიროესი; ამისთვის ისეთი სული უნდა შთაებეროს საზოგადოებას, რომ სრულიად გარდაქმნას მჩაგვრელის ზნეობითი არსება. ამიტომაა, რომ დიდი უმეტესობა ჩვეთი ერისა, რომლის კეთილდღეობაზედაც უნდა აშენდეს ქართველთა ეროვნული დიდება, იყო და არის დღემდე დაჩაგრული, რის გამოც მას არ შეუძლია სხვებთან ერთად ძმურად იმოქმედოს სამშობლოს დაცვისათვის, არ შეუძლია შეებას ეროვნული პროგრესსის ულელში, არ შეუძლია მხარი მისცეს იმ მცირე ნაწილს, რომელიც სიტყვით მაინც ოცნებობს მომავალ, საერო ბედნიერებაზედ, საქმით თუ არაფერი იმდენი გაუკეთებია.

ამ ჩატეხილი ხიდის შესაკეთებლად, ამ ხნარცვის ამოსავსებად რაფიელმა ალტრუისტულ, შებრალებითს (იდეალების) კილოზედ ამღერა თვისი ჩანგი. ისეთი ტიპები დაგვისურათა ჩაგრულთა და ბეჩავთა ცხოვრებიდგან, ისეთი მხატვრული სისწორით ჩაგვახედა ჩვენის გლეხთა გაჭირვებულს ცხოვრებაში, რომ ძალი უნებურად ამ სურათის შემხედვარეს თვალზედ ცრემლი მოგადგება და სიბრალულის გრძნობით აღივსები. აი, აქ მოუვიდა დუშაში რაფიელს. ამ მხრით ჩვენში იგი შეიქმნა დამნერგავი იმ აზრისა, რომ თუ ჩვენის ერის ბეჩავს და საბრალო უმეტესობას სიბრალულის ხელს გაუწევთ და ვეცდებით იმის სილატაკიდგან გამოხსნას, იმის ნივთიერად და გონიერად ოდნად მაინც მაღლა აწევას, იგი შეიყვარებს შემბრალეს, იგი შეგნებულად და მედგრად მიეკედლება ჩვენის ერის უმცირესობას, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია იმედი ხსნისა; ჩვენში დამყარდება ძმობა-ერთობის სურვილი, რომელზედაც უნდა ავაფრიალოთ დროშა სამშობლოს დაცვისა, დროშა რომლის ფრთეთა ქვეშაც ძმურად ხელს გაუწვდის მაღალი და მდაბალი ერთმანეთს, გლეხი და აზნაური, ვაჟი და ქალი. ამ დროშის ქვეშ, განურჩევლად წოდებისა და ხელობისა ყველა ქართველი ერთად მოიკრიბება და ფიცით ალთქმას დასდებენ შეებრძოლონ უმეცრებას, ძალმომრეობას და შემთხვევითის ისტორიის ნასროლს ტალღას, რომელიც ავსულობით ტრიალობს ჩვენს თავზედ. სხვა პოეტები და მწერლები რაფიელზედ ნაკლებ არ ქადაგებდნენ ამ აზრს, მაგრამ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ეს აზრი მეტად სიმპატიურს ლიტერატურულს ფორმაში გამონასკვა და ამიტომ მისმა ლიტერატურულმა უკანასკნელმა ნაწარმოებმა ერთ-მხრივი, განკერძოებითი მიმართულება მიიღო, მიმართულება, რომლის მბაძავნი ამ ათის წლის განმავლობაში ბლომად შეიქმნენ.

რაფიელის კალამი რომ ნამდვილად ნიშანში მოხვდა, გარდა მისის ნიჭიერებისა, ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ სხვა-და-სხვა გარემოებას, რომელიც პოეტს განუშორებლად გარს ერტყა: პირველი—ისა, რომ რაფიელმა ჩვენის მდაბიო და დაჩაგრული ხალხის ჭირი და ვარამი თვისი თვალითვე იხილა. საქართველოს კუთხე ისეთი არ მოიპოვება, სადაც მას არ ემსახურნოს და არ ჩაჰკვირვებოდეს ჩვენის ხალხის უმეტეს ნაწილთა კვნესა გოდებას, მისის უმეცრებისა და დაჩაგვრის მიზეზს. მეორე ისა, რომ მისი ყმაწვილობის დროს სასწავლებლებში კიდევ ტრიალებდა ქართული სული, კიდევ იყვნენ ხელ-შეუხებელი ქართული ზნე-ჩვეულების მატარებელი და ენის მცოდნე ქართველნი, რომლებთანაც მეზობლური და ძმური განწყობილება ჰქონდა. ამითი უნდა აიხსნას მისი ლიტერატურული ნაწარმოების სიმარტივე და ენის მხრით სიმშვენიერე. მესამე ხელის შემწყობ გარემოებათ ის უნდა იქმნას აღიარებული, რომ ერთის მხრით მუდმივი სახელმწიფო სამსახურში მყოფობის გამო განუწყვეტელი ჯამაგირი და რიგიანი მამულის შემოსავალი დროს არ აკარგვინებდა ჩვენს იუბილარს ლუკმა-პურის საშოვარი ბრძოლისათვის: მას რჩებოდა თავისუფალი ჟამი, რომელსაც თვისს კეთილ, პატრიოტულ გრძნობის-დაგვარად სამშობლოს კეთილ დღეობისათვის ხმარობდა. დღეს ამით გავათავოთ ჩვენს დაუვიწყარს რაფიელზედ საუბარი.

კიდევ ორიოდე სიტყვა: რა გაკვეთილი მისცა 22 ოქტომბრის დღესასწაულმა ჩვენს საზოგადოებას და მოღვაწეებს? საზოგადოებას ამ დღემ დაანახვა, რომ საერო დღესასწაულზედ უკეთესი დღესასწაული მკვდრეთით აღდგომაზედ უკეთესიც-კი ყოფილა და მოღვაწეები-კი მეტად გააფრთხილა: თუ მათ გონიერად და ნაყოფიერად არ იშრომეს, დაფნის გვირგვინებს-კი ტყუილად ნუ მოელიან. მე-კი ამ დასკვნაზედ მიმიყვანა: დღეს რაფიელისთანა გარემოებებში ჩვენი ახალგაზდობა აღარ გახლავს; მას, ნიჭს გარდა, ყოველი გარემოება ხელს უშლის მამულის სასარგებლო მოღვაწეობისათვის და ვაი თუ, როცა სხვების იუბილეის ვიდღესასწაულებთ, იმის ნახევარი კაცებიც ვერ ვიშოვნოთ იუბილარის გვერდის დამამშვენებლად, როგორიც რაფიელს ამოვუყენეთ მხრებში, ვაი თუ ისევ რაფიელი დაგვჭირდეს ძმაღეთ! ნურას უკაცრაოდ, მკითხველო, რომ ჩემი ფელეტონი ყოველთვის ავ-ყიაობით თავდება. რა გაეწყობა! ჩვენს ნათელს ჯერ კიდევ ბევრი ბანკლი ახლავს.

კუდიანეთელი.

26-ს ოქტომბერს, 1895 წ.

გარდა ამისა ჩვენში განზრახვა აქვთ ხონსა და მარტვილს შუა ტელეგრაფის ქსელი გაიყვანონ, ეს მით უფრო ადვილია, რომ ტელეგრაფის ბოძებს უფასოდ იძლევა თურმე პრინცესა მიურატი. თუ ესეც გაკეთდა მარტვილში, მაშინ მარტვილისთანა სოფელი მეორე არ იქნება მთელს სამეგრელოში.

ჩვენსკენ წელს მოსავალი შარშანდელსავით ნაკლები იყო. სიმინდი ძალიან მცირე მოვიდა, ხოლო ჩვენი ღვინო „ადესა“ თითქმის სულ არ მოსულა. ვისაც ასი და სამოცი კოკა მოსდიოდა, წელს ოციც არ მოუვიდა.

## ადრესები

*სასახელოვანო პოეტო, ღრმად პატივცემულო მოხუცო!*

დღეს საქართველოს ყოველ კუთხიდგან შეკრებილნი, თავადნი, აზნაურნი და გლეხნი პატივის-ცემით გილოცავენ შენ ორმოც-და ათ წელს ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის. ნება მიბოძე, სასიქადულო პოეტო, ამ გვირგვინით შევამკო შენი ჭაღარა. ყოველს ჩვენთაგანს შენ გვასწავლე —„კაცი ვინ არის“ და თანამედროვე, ჩვენთვის გრიგალად გადაქცეულ, ცხოვრებასთან საბრძოლველად შეგვაიარაღე იმ გამამხნევებელ აზრებით, რომელიც შენ ისე შვენივრად გამოსთქვი ლექსებში: „დედა-ენა“ და „სამშობლო ხევსურისა“. შენ დაგვაკავშირე სულიერად სესიებთან, ბერუებთან, გოგიებთან, თინიებთან და სხვა მათ მოძმეებთან და მით შეჰქმენ ძალა არა უმნიშვნელო ჩვენთვის. ამ შეერთებულ ძალის ყოველი პირი მცნებათ დაიჰდევს გულის ფიცარზე—დარაჯად უდგეს და დაიცვას საშვილი-შვილოთ „რჯული ენასთან შერთული“.

დავშთები მარად ჟამს პატივისმცემელი ექვთიმე ხელაძე.

1895 წ. 22 ოქტომბერი.

—

*ყველასაგან ღრმად პატივცემულო, ენატკბილო მგოსანო!*

ყველა ქართველი დიდ ბედნიერად უნდა აღიარებდეს თავისს თავს, რომ თქვენ, ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ნაშრომ-ნაღვაწს კიდევ ჯანღონეზედ გხედავს! დიდად პატივსგცემენ ქართველი სახალხო სკოლები, რადგან დაუღალავი კალმის წვერით თქვენი ენა-წყლიანი ლექსით მშვენივრად დახატეთ ჩვენის გლეხის გულ კეთილობა, ერთმანეთის შემწეობა, სამშობლური და ოჯახური სიყვარული და მრავალი ამისთანა გრძნობანი.

თქვენი ლექსი «თინიას მამითადი» ამხნევებს ყველა ოხერ-ტიალს ქვრივსა, ღარიბ ადამიანსა და უღვიძებს შველის სურვილს ცოტად თუ ბევრად შემძლებელს გლეხსა. ლექსი „სამშობლო ხევსურისა“ ხომ განხორციელებული სამშობლური სიყვარულია! ამ ლექსის გამგონი თუ წამკითხველი ლოცვა-კურთხევით გიხსენებთ თქვენ, ჩვენო ხალხის გულში მჯდომო მგოსანო, და გაკვირვებით გაიძახის: „ის ღვთისაგან კურთხეული ამ ლექსის გამომთქმელი სწორედ ჩვენს გულში მჯდარაო“. გლეხის ცხოვრების კანთიელად დამხატავი თქვენი ლექსები საყვარელი ლექსებია სოფლის სკოლებისა და ამის გამო მთელ ხალხში მოდებულია მათი კითხვა-სიმღერა. ამ ბედნიერს დღეს, როდესაც ეს ამოდენა საზოგადოება თქვენ შემოგხარით და როდესაც ყველა ქართველის სიხარულს და სიამაყეს თქვენ შეადგენთ, ჩვენო დაუვიწყარო მოღვაწევ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოფ. წინარეხის სკოლის ნაშაგირდლები და მათთან ერთად მე, ხსენებულის სკოლის მასწავლებლად ნამყოფი, გილოცავთ თქვენის თვალ-საჩინო მოღვაწეობის ორმოც-და-ათის წლის შესრულებას ქართულის მწერლობის სარბიელზედ და ვისურვებთ თქვენს ბედნიერად სიცოცხლეს.

სოფ. წინარეხის სკოლის მასწავლებლად ნამყოფი სალ. მაღალაშვილი და მოსწავლეებად ნამყოფნი მიხა ქეზელაშვილი და ნინა შარმანაშვილი.

—

მისს ბრწყინვალებას

*თავად რაფიელ დავითის ძე ერისთავს.*

საყვარელო პოეტო! იმ დღიდგან, რაც თქვენ ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყეთ და მგოსნის მანტიით შეიმოსეთ, გურულები ბეჯითად ადევნებენ თვალ-ყურს ყოველს თქვენს ნაბიჯს ამ სასიქადულო გზაზედ, გულდადებით გისმენენ ღირსეულს მგოსანს. თქვენ თქვენის ქნარით სანატრელი თანამგზავრი ხართ მათი ჭირში და ლხინში, შინ და გარედ. სადაც უნდა იყოს გურული კაცი: სახლში თუ კარში, სოფლად თუ ქალაქად, ბარში თუ მთაში, ყანაში თუ ვენახში, რა საქმესაც უნდა ადგეს ის, ყველგან ესმის მას თქვენის მარჯვედ მომართულის ქნარის სიმთა ჟღერა, ყველგან სტკბება ის ამ ციურ ხმათა მოსმენით ეს ციური ხმა ხან შემოიჭრება მათ ლხინში და ნეტარების ზღვაში აცურვებს, ხან-კი მფარველ ანგელოსად მოევლინება ჭირის დროს და მკურნალ მალამოდ ედება დაწყლულებულ გულზედ. თქვენი ღვთისაგან ნაკურთხი კალამი ხან ბოროტებას მუსრავს და მტრის გულის გასაგმირად ილესება, ხან მჩაგრავ ძალას ებრძვის და უსამართლოდ გაქელილის ფეხზედ წამოყენებას ლამის, ხან შემოიჭრება სასამართლოში და მიუდგომლობას, სამართლიანობას ითხოვს, ხან შეიმოსება მოძღვრის სამოსლით, რომ გვიმოძღვროს ძმობა, ერთობა, სამშობლოს სიყვარული, ან მასწავლებლის კათედრიდგან ზნეობრივად წრვთნის ჩვენს ნორჩ მოზარდ თაობას, უნერგავს მათ დედა-ენის, სამშობლოს სიყვარულს, ხან კიდევ, როგორც ერთგული ჭირისუფალი, ძაძით მოიბურება და ბეჩავ შრომის შვილთან ერთად დასტირის სეტყვისაგან გინდა გვალვისაგან აოხრებულს ყანას, ან და გულ-შეწუხებული ცრემლს ღვრის რომელიმე უპატრონოდ დაგდებულის მომაკვდავის ლოგინთან. მადლით ცხებულმა გონებამ, განწმენდილმა, გრძნობის ზღვად ქცეულმა გულმა, ღვთისაგან მონიჭებულმა ქანქარმა, რომელიც ზარმაც მონასავით უქმად არ დამარხეთ, არამედ თქვენის მხნეობით ერთი ასად გაზარდეთ და ასარგებლეთ ჩვენდა საბედნიეროდ, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა ნება მოგცათ ღირსეულს მამულიშვილს ღირსეულად მოგეხადათ თვისი ვალი სამშობლოს წინაშე და აი დღეს თქვენის ორმოც-და-ათის წლის ლიტერატურულ მოღვაწეობის შემდეგ—სიხარულით შეგცქერით, მხცოვანო პოეტო, მდგომარეს დიდების მთაზე, რომლის მწვერვალზე მოგაქცია თქვენ საკუთარმა ნიჭმა და მხნეობამ, ტვირთ-მძიმეთა უსაზღვრო სიყვარულმა. მე 1858 წლებში თქვენთან სამსახურის გამო კარგად მესმოდა თქვენი ლტოლვილება, თქვენი ძლიერი სულის კვეთება და ამიტომაც სრულებით არ მიკვირს ის უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული, რომელსაც გრძნობს თქვენდამი დამაშვრალი ტვირთ-მძიმეთა წოდება, რომლის ვარამი და ყოფა-ცხოვრება ისე ხელოვნურად დასურათებულია თქვენს ნაწარმოებში. მაშ ნება მიბოძეთ, სასიქადულო მგოსანო, გურული გლეხკაცობის სახელით მოგილოცო თქვენი ორმოც-და-ათის წლის ფრიად ნაყოფიერი მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზე და ჩვენი სიხარული, ამ დღესასწაულით გამოწვეული, შევუერთოთ სხვა ქართველების სიხარულს. კვლავ იცოცხლეთ ჩვენდა სასიქადულოდ, ჩვენდა საბედნიეროდ და კვლავ გაგვაგონეთ მაგ დიდების მთიდგან ასეთი საგმირო ხმები:

„გავსწყდეთ, ძმებო, სჯულისათვის
მამულისთვის სისხლი ვსთხიოთ,
შემწეთ ჩვენის სიმართლისთვის—
მაღლით ღმერთი მოვიწვიოთ,
ვეცნეთ მტერსა, დავერივნეთ,
დავიფრინოთ, ხმლითა ვსდიოთ,
მეც თქვენში ვარ, თოფი მკარით,
თუ სისუსტე შემამჩნიოთ!..“

დავშთები თქვენის ბრწყინვალების მარად ერთგული და უმორჩილესი მოსამსახურე ოზურგეთის მაზრის უფროსი კონსტანტინე ალშიბაია.

## კორესპონდენცია.

**ქუთაისი:** 22 ოქტომბერს ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში გადაიხადეს პარაკლისი თავ. რაფ. ერისთავის 50 წლის მოღვაწეობისათვის. დეკ. ცაგარეიშვილმა, სანამ შეუდგებოდა პარაკლისის გადახდას, მიჰმართა საზოგადოებას მშვენიერის სიტყვით, რომელშიაც ყველასათვის გასაგების ენით განუმარტა როგორც მნიშვნელობა იმ დღეის დღისა, ისე მნიშვნელობა თვით იუბილარის ღვაწლისა ჩვენის ცხოვრებისათვის.

შემდეგ პარაკლისის გარდახდისა, რომელზედაც სკოლის მოწაფენი ქართულად გალობდნენ, მერე მასწავლებელმა დათეშიძემ წაიკითხა ლექსი ბ. ხუნდაძისა (დროებით აღმასრულებელი ინსპექტორის მოვალეობისა). შემდეგ მოწაფეებმა სხვა-და-სხვა კლასებისამ წაიკითხეს თავისი წლოვანების შესაფერი ლექსები რაფიელისა, რომლითაც დიდი სიამოვნება გამოიწვიეს მოწვეულს საზოგადოებაში და შიგა და შიგ ხანდაზმით მოწაფეთა ხორო გალობდა სხვა-და-სხვა ქართულ საგალობელს. ეს ლიტერატურულ-სასიმღერო დილა გათავდა $2^1/_2$ საათზედ და საზოგადოება დაიშალა სრულიად კმაყოფილი.

ბ.

—

**ყარსი.** „ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა, ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა..“

ეს სიტყვები გამახსენდა, როცა ყარსის ქართველობამ ერთად თავი მოიყარა ამ თვის 22-ს, რათა პატივი ეცათ თავის საყვარელ მგოსნისათვის. აქა ნახავდით დიდსაც და პატარასაც, მდიდარსაც და ღარიბსაც! მაგრამ, უნდა გენახათ, რა ნაირი სიამოვნება უქროდა ყველას პირზედ; რა ნაირის ძმურისა და მეგობრულის ღიმილით ართმევდნენ ერთმანეთს ხელს! აქ შეკრებილი ქართველობა წარმოადგენდა ძალად მოპატიჟებულსა და მოწვეულ ხალხს-კი არა, არამედ დიდ ოჯახს, რომლის წევრებსაც გაგიჟებით უყვართ ერთმანეთი, ერთმანეთის სიამოვნებას სცდილობენ და ერთი რაღაც სასიამოვნო აზრით არიან გამსჭვალულნი და გატაცებულნი!

„დიდია ხალხი, რომ ეს გრძნობა წინ წარუძღვება“... მოვიდა ქართველობა და მათთან ერთად მათი საყვარელი მოძღვარიც მ. ზაქ. ლუკიანიშვილიც. ხელ-და-ხელ შემდგარ მგალობელთა გუნდის დახმარებით გარდახდილ იქმნა სადღეგრძელო პარაკლისი. მ. ზაქარიამ პარაკლისის დაწყებამდის წარმოსთქვა ჩვეულებრივის გრძნობით სავსე სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა-რა ღვაწლი ჩვენის მხცოვანის პოეტისა თავის ერისადმი, ის აზრი გაატარა, რომ ბევრს სანუგეშო და უტყუარ ნიშნებსა ვხედავთ ჩვენის ერის გამოფხიზლებისა და თვით-ცნობიერების გზაზედ დადგომისასო.

პარაკლისს მოჰყვა ლიტერატურული საღამო, რომელზედაც წაკითხულ იქმნა განსაკუთრებით იუბილარის ნაწარმოებნი— სცენები და ლექსები. კითხვაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ვაჟკაცნი, ისე მანდილოსანნი. ყოველ ლექსს და სცენას მოჰყვებოდა ხოლმე ქართული სიმღერა. ცხრა საათიდგან დაწყებული პირველამდის გასტანა კითხვამა და სიმღერამ. ამის შემდეგ მანდილოსანთ გაშალეს სუფრა და დაიწყო კიდეც ხელის-მოწერა რაფიელის სახელობაზედ დასაარსებელ ფონდის სასარგებლოდ და შეიკრიბა 64 მ.

ამას გარდა გვინდოდა 22 ოქტ. გვეთამაშნა რაფიელის პიესა „ბიძიასთან გამოხუმრება“ სამოქალაქო კლუბში, მაგრამ ხელი შეგვიშალა სომხურმა წარმოდგენამ, რომელიც სწორედ ამ დღეს იყო დანიშნული, და ამისთვის გადავდეთ ათ ნოემბრისათვის. წარმოდგენიდგან შემოსული და ხელის-მოწერით შეკრებილი ფული ერთად გამოიგზავნება „ივერიის“ რედაქციაში თავისს დროზედ.

ერეკლე.

23 ოქტ. 1895 წ.

## ჯიხეთის ტაძრად მიყვანების დედათა სავანე.

ეს სავანე იმყოფება ოზურგეთის მაზრაში, ნიგოითის სადგურიდგან ოთხ ვერსზედ. აქ ჯიხეთის მთის კალთებში, რომელიც დაბურულია ხელ-უხლებელის ტყით, ერთ მშვენიერ სერზედ სდგას ძველის-ძველი ეკკლესია. როგორც მოგვითხრობს ზეპირგადმოცემა, იგი აშენებულია დიდის თამარ მეფის დროს. 1886 წლამდის მიტოვებული იყო, ამ წელშიკი აქ დაისადგურა მონაზონმა ელენემ სამიოდე სამონაზონო დებით და განიზრახა დედათა სავანის დაარსება. განაახლეს ძველი ეკკლესია და აღადგინეს ღვთის მსახურება. 1893 წელში მისის ყოვლად-უსამღვდელოესის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის შუამდგომლობით უწმიდესმა სინოდმა დაამტკიცა აქ დედათა სავანე და მას შემდეგ განახლებულ ეკკლესიაში ყოველ დღე სრულდება ღვთის მსახურება. რიცხვი დებისა დღეს 32 და მათი რიცხვი თან-და-თან მატულობს, ეკკლესია-კი მცირეა სივრცით; ამიტომ იმავე ყოვლად-უსამღვდელოს კურთხევით და შემწეობით შევუდექით ახალის ეკკლესიის აშენებას, მახლობლად ძველის ეკკლესიისა. უკანასკნელი, როგორც ძველი ნაშთი, დარჩება ხელ-შეუხებლად.

აქ დღეს იზრდებიან სოფლის პატარა ქალები. მონაზონები მათ ასწავლიან წერა-კითხვას და ჭრა-კერვას, მაგრამ რადგან ასე სწავლა სასურველს ნაყოფს ვერ მოიტანს, ამიტომ განვიზრახეთ ეკკლესიასთან ერთად ავაგოთ დედათა სკოლა. მართალია ნივთიერი საშუალება სავანისა ყველა ამის განსახორციელებლად მცირეა, მაგრამ გვაქვს იმედი, რომ ჩვენი ძველად ღვთის მოყვარე საზოგადოება დღესაც მოგვცემს შეძლებას, რომ დავასრულოთ ეს ორი სასარგებლო საქმე. ვიმედოვნებთ, რომ არავინ არ დაიშურებს თავიანთს წვლილს მისცენ იმ მღვდელს და მონაზონთ, რომლებიც ეპისკოპოსის ნება დართულ კონდაკით აგროვებენ შესაწირავს ჯიხეთის დედათა სავანის სასარგებლოდ. ფოსტით გამოგზავნილი შესაწირავი მიიღება ამ ადრესით: Ланчхуты. Настоятельницѣ Джихетской женской общины, монахинѣ Еленѣ.

ამავე სავანის დიაკონი სიმონ ჩიჩუა.

ჯიხეთი,
26 ოქტომბერს, 1895 წ.

## რუსეთის ცხოვრება.

«ნოვოსტი» იუწყება, ამ დღეებში განიხილვენ საგანს საკრედიტო ნაწილის საგანგებო დეპარტამენტის დაარსების შესახებაო.

—

ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრის ს. ა. ოლხინის თავმჯდომარეობით ამ დღეებში ხელ-ახლად დაიწყება სხდომები იმ კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს საგანი იმის შესახებ, რომ ახალის ქარხნებისა და ფაბრიკების გახსნის დროს სხვა-და-სხვა შემავიწროებელნი გარემოებანი თავიდგან როგორ იქმნან აცილებულნი.

—

წარსულს წელს ერთი სემინარიელი, რომელმაც კურსი პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში გაათავა, კერძო განკარგულებით მიღებულ იქმნა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზედ. ეს არა ჩვეულებრივი მოვლენაა. სემინარიელების მდგომარეობა ამ შემთხვევაში სწორედ გასაკვირველია. ხან არც სულ არ იღებდნენ მათ უმაღლესს საერო სასწავლებლებში, ხან-კი ყოველ უნივერსიტეტებში ჰქონდათ შესვლის ნება არამც თუ კურს დამთავრებულთ, არამედ სემინარიის მეოთხე კლასიდამაც. მერე გამოიცა განკარგულება, რომ მხოლოდ აღნიშნულს საერო უმაღლესს სასწავლებლებში მიიღონ ისინი, ვისაც სტუდენტად გაუთავებიათ სემინარია. ბოლოს სულ ერთიანად მოსპეს სემინარიელების უმაღლეს საერო სასწავლებლებში მიღება და ნება ეცათ მხოლოდ ახლად გახსნილ ტომსკისა და ვარშავის უნივერსიტეტებში შესვლისა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

**აი, რასა სწერს გაზ. «რუსკ. ვედ.»-ი თავისს უკანასკნელს ნომერში:**

ამ დღეებში ყაზანის სასამართლო პალატამ განიხილა პერმში მომხდარი საქმე, რომლისა გამოც ბრალდებულად იქმნენ მიწვეულნი კუნგურის საპატიმროს ზედამხედველად ნამყოფი და ოთხიც სამხედრო სადარაჯოს ჯარის-კაცი. ყველა ამათ ჰბრალდებოდათ პატიმრის გალახვა, რაიცა ველარ აიტანა პატიმარმა და მოკვდა. სასამართლომ განიხილა საშინელი სურათები საპატიმროს ცხოვრებიდგან. ამბავი, რომლითაც ეს სამწუხარო დრამა იწყება, არავითარს შესანიშნავს გარემოებას არ წარმოადგენს: პატიმართ გაქცევა ჰსურდათ, მაგრამ შეიპყრეს. ამ დანაშაულს ახლა ღირსეული სასჯელი მოჰყვა: საპატიმროს ზედამხედველმა ერთი ლაზათიანად მიზეგვა გაქცეულები; ამას „ზედ დაამატეს“ ახლა ჯარის-კაცებმა,—მაგრამ პატიმარნი მაინც „არ ეწინაალმდეგებოდნენ“, ემორჩილებოდნენ და უსიტყვოდ იტანდნენ ამ ცემას. რასაკვირველია, იმიტომ რომ ეს ჩვეულებრივი სასჯელი იყო ამ შემთხვევებში. საქმე რომ ამითი დასრულებულიყო, იქნება სასამართლოს აღარც-კი დასჭირდებოდა საქმეში ჩარევა. მაგრამ საპატიმროს ზედამხედველმა ეს არ იკმარა თურმე და, როგორც თვით სასამართლოს ანგარიშიდგანა სჩანს, „სასიკვდილოდ დაუწყეს ცემაო“. სცემდნენ უბედურთ წიხლით, თოფის კონდახებით; ეს ცემა ხან შესწყდებოდა და ხან ისევ დაიწყებოდაო. ერთმა ამ ნაცემთაგანმა ველარ გაუძლო და, როგორც შემდეგში ექიმის შემოწმებამ აღმოაჩინა, მოკლულს გვერდები არამც თუ დამტვრეული, სრულიად დაფშვნეტილი ჰქონდა თურმე.

**ასეთი შემთხვევა თუნდაც მხოლოდ ერთად-ერთი იყოს, მაშინაც-კი მშვენივრად გვაცნობს, თუ რა წესები არსებობს საპატიომრებშიო, ამბობს გაზეთი „რუსკ. ვედომოსტი“ და თანაც დასძენს:**

ჩვენს თავს ნებავს მივცემთ და ვკითხავთ, როგორია პატიმართა ყოველდღიური ცხოვრება იქ, სადაც პატიმარი იმგვარის ხალხის ხელშია, რომელთაც ასეთისა თუ სხვა მის გვარ შემთხვევის დროს შეუძლიანთ ასე მხეცურად მოიქცნენ და ბოროტად მოიხმარონ თავისი უფლება? ვინ არ იცის, რა ძნელია თუნდაც სრულიად სამართლიანმა მოთხოვნილებამ საპყრობილის კედლებს გამოაღწიოს. ამიტომ მუდამ, როდესაც-კი ასეთი საქციელი, როგორიც არის კუნგურში მომხდარი ამბავი, სასამართლოში გამოაშკარავდება ხოლმე, უნებურად გვებადება ეჭვი, რომ საპატიმროებში ყველაფერი რიგზედ და სამართლიანად არ არის მოწყობილი. მაგრამ ამ ბოლო დროს პროვინციალურ სასამართლოთა მატიანეში ასეთი ამბავი, როგორიც პერმში მომხდარა, იშვიათს მოვლენას აღარ შეადგენს. სულ არ არის დიდი ხანი, რაც ერთი ასეთი შემთხვევა კიდევ სხვა მოხდა. ამ ჟამად-კი მსხვერპლად ქალი აღმოჩნდა. ეს საქმე ხარკოვის სასამართლო პალატაში იქმნა გარჩეული და იმითი გარდასწყდა, რომ საპატიმროს მოხელენი იქმნენ დასჯილნიო.

## უცხოეთი

**ოსმალეთი.** გაზეთები გადმოგვცემენ, რომ სულთანი დიდს შიშშია ჩავარდნილი, ყოველ წუთს ელის მკვლელებსაო. სტამბოლში ლაპარაკობენ, რომ სულთანმა თავისის ხელით მოჰკლა ორი თავისი მოსამსახური, რომელთა ერთგულებაც საეჭვოდ მიაჩნდაო. ოსმალეთის ოფიცრები დიდად უკმაყოფილონი არიან ოსმალეთის საქმეთა ვითარებისა გამო და მზად არიან აჯანყდნენ სულთანის წინააღმდეგ. ოფიცრები დიდად გაურისხებიია იმ გარემოებას, რომ ოსმალეთის მთავრობას ჰსურს შემოიღოს ცვლილებანი სომხეთა სასარგებლოდ და თვით ოსმალნი-კი ისე დასტოვოს.

სტამბოლიდგან იუწყებიან, რომ შეიარაღებული სომეხი-ინსურგენტები ოცი-ათასამდე კაციაო. ოსმალეთის მთავრობას განუზრახავს სომხეთში შეკრიბოს ჯარი რიცხვით ორმოც-და-სამი ათას კაცამდე. ამბოხების დროს ბითლისში 700-დე კაცი მოუკლავთ. ოსმალეთის სამხედრო სამინისტროს განუზრახავს მოუწოდოს შესაიარაღებლად სათადარიგო ჯარის კაცთ.

**საფრანგეთი.** კარმოში შეთქმულ მუშათა და ადგილობრივ პრეფექტს შორის მოლაპარაკებამ იმის შესახებ, რომ შუშის ქარხნებში მუშაობა დაწყებულიყო, ჯერ-ჯერობით ვერაფერი ნაყოფი მოიტანა. პრეფექტმა ურჩია მუშებს დაუყოვნებლივ დაეწყოთ მუშაობა და ქარხნების პატრონებსკი არავითარი წინადადება არ წარუდგინა იმის შესახებ, თუ რა ფასი უნდა მიეცეთ მუშებს და მიიღონ უკანვე ყველა შეთქმული მუშები და სხვანი, თანაც დასძინა პრეფექტმა, რომ თუ ეხლა დათხოვნილ მუშათა რიცხვი 50-სა და 60 არ აღემატება, იმ შემთხვევაში, თუ კვლავ დაიწყებთ წინააღმდეგობას, ეს რიცხვი ერთი-ორად იქცევაო. მუშებმა ასეთი წინადადება მუქარად მიიღეს და უარ-ჰყვეს. ამის შემდეგ მომხდარ კრებაზედ მუშებმა გარდასწყვიტეს წარუგზავნონ პრეფექტს მოწოდება, რომელშიაც აღნიშვნენ, რომ რესსეგიეს უარს მაშინ ექნებოდა საფუძველი, თუ ყველა შეთქმულთა ქარხნებში მისაღებად მუშათა დათხოვნა იქნებოდა საჭიროო, იმ მუშათა, რომლებიც შუშის ქარხნების დირექციამ დაიქირავა; ეს თვითონ ჩვენც არა გვსურსო, განაცხადეს შეთქმულებმა, რადგანაც ვიცით, გაჭირვებამ აიძულა იგინი ქარხნებში ემუშავათო. ყოველს შემთხვევაში ეს მაინც საჭირო არ იქნება, სამუშაო ყველას ეყოფა. მანიფესტის სიტყვით, რესსეგიეს წინააღმდეგობა იმ სურვილით არის გამოწვეული, რომ სინდიკატი დასცენ და მუშები არას გზით არ მისცემენ ამის ნებას. „ჩვენაო, — ნათქვამია მოწოდებაში,—ერთგვარად შეგვიძლიან დავთანხმდეთ როგორც საპატიო შერიგებაზედ, ისე შეურყეველ წინააღმდეგობაზედაც იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს უფლებებს არ აღიარებთო“. დასასრულ მუშები მედიატორეთა სამართალს თხოულობენ.

## თეატრის მატიანე.

პარასკევს, 27 ოქტომბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა შექსპირის დრამა „ოტელო“.

ოტელოს როლი საკვირველის შეგნებითა და გამომეტყველებით აღასრულა კ. მესხმა. ნამეტურ კარგი იყო არტისტი მესამესა და მეოთხე მოქმედებაში, რომელმაც სრულიად გაიტაცა საზოგადოება და გამოაცდევინა მაყურებელთ ის ჯოჯოხეთური ეჭვი, რომლითაც საზარლად იტანჯებოდა მავრი სარდალი. არტისტი საოცრად გვისურათებდა შურის ძიებით სავსესა და გაშმაგებულს ოტელოს... ბ-ნი მესხი დიდ მადლობის ღირსია, რომ ასეთი ესტეტიკური სიამოვნება მიანიჭა მაყურებელთ.

ძალიან კარგი იყო იაგოს როლში ბ. სვიმონიძე, რომელმაც როლიც მშვენივრად იცოდა და თამაშითაც ჩაკვირვებულად თამაშობდა...

იგივე არ ითქმის, ჩვენდა სამწუხაროდ, კ. ყიფიანის შესახებ. ამ არტისტის ნიჭისა და გამოცდილებისაგან ჩვენ უფრო მიხვედრილსა და თავ-დაჭერილს თამაშობას მოველოდით, მაგრამ ბ-ნმა ყიფიანმა და დარბაისელი ვენეციელი სენატორი ვერ დაგვისრათა.

კასიოს როლი აღასრულა ჯერ სულ ახალგაზდა ევდოშვილმა, რომელსაც, რასაკვირველია, ჯერ ბევრი არა მოეთხოვება-რა. კარგი იქნებოდა ბ-ნი ევდოშვილი თავისს გაბედულსა და მოხდენილს დეკლამაციას შეუკავშირებდეს სცენაზედ მიმოხვრას და უფრო ნათლად დახატავდეს ხოლმე სულის მოძრაობას; თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ როლი მას შეგნებულიც ჰქონდა და არც წაუხდენია.

ემილიას როლი სუსტად აღასრულა ქ-ნმა ჩხეიძისამ, მეტადრე მეხუთე მოქმედებაში, სადაც შიში, სასოწარკვეთილება და უმწეობა უნდა დაესახა და განწირულის სულის კვეთებით მოეწოდებია ხალხი ოტელოს საწოლ ოთახში, სადაც დეზდემონა სულთ-მობრძავი სარეცელზედ ეგდო, და აქ-კი იგი შეუფერებელი და სუსტი იყო... სამწუხაროდ კიდევ უნდა ვუსაყვედუროთ დრამატიულ კომიტეტს და გამგეთ, რომ ასეთს ახალგაზდასა და გამოუცდელს არტისტს ქალს, თუმცა ნიჭიერს და იმედის მომფენს, ასეთს შეუფერებელს როლებს აკისრებენ.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ გრიმიცა და კოსტუმებიც მშვენიერი ჰქონდა ყველას.

თეატრის მოყვარული.

## ბიბლიოგრაფია.

რედაქციამ მიიღო ახალი ქართული წიგნი „ნატვრის თვალი“ კომიკური ოპერეტი სამ მოქმედებად ა. დიუროს და გ. შილიოსი, გადმოქართულებული ა. ახნაზაროვის მიერ. გამოცემა მიხეილ ე. ხელაძის მიერ.

ეს ოპერეტი ჩვენმა ქართულმა დასმა ორჯელ წარმოადგინა, პირველად 1891 წელს, 20 დეკემბერს, ხოლო მეორედ 1892 წელს 18 მარტს. იმ ჟამად ოპერეტმა ძალიან ასიამოვნა ჩვენი საზოგადოება, რადგანაც მოხდენილად და კარგად არის გადმოქართულებული, როგორც მოსალოდნელიც იყო, ენის კარგად მცოდნესაგან და ჩვენს საზოგადოებასაც ძალიან მოსწონს სიმღერის სცენიდგან გაგონება. კარგი იქნებოდა ჩვენი ქართული დასი ეხლაც როგორმე მოახერხებდეს ამ ოპერეტის დადგმას. წიგნი კარგა მოზრდილის ფორმატისაა, დაბეჭდილია ლამაზად კარგს ქაღალდზედ, შეიცავს 137 გვერდს და ღირს ორი აბაზი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

22 ოქტომბერს გადავიხადეთ პარაკლისი თავ. რაფ. ერისთვის საიუბილეო დღესასწაულისა ადგილობრივის ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებლებისა და მოსწავლეთა თანადასწრებით. ხალხი ბლომად დაესწრო. იმავე დღეს დანიშნული იყო სალიტერატურო საღამო, რომელზედაც ხალხისთვის უნდა გაგვეცნო პატივ-ცემულის პოეტის მოკლე ბიოგრაფია და რამოდენიმე მისი ნაწარმოების შინაარსი, მაგრამ მეტის მეტი ავდრის გამო გადაიდო.

იუბილარის სადღეოსრად განზრახულის ფონდის სასარგებლოთ გავმართეთ ხელის მოწერა და და შევკრიბეთ 11 მ. და 50 კ., რომლისაგან, ფოსტის ხარჯს გარდა, 11 მ. და 25 კაპ. ამასთანავე გაახლებთ დანიშნულებისამებრ მისაქცევად.

სია შემომწირველთა: თითო მანეთი — ივლიანე შევარდნაძემ, ივანე ნინიძემ, სილიბისტრო სიამაიშვილმა, ანტონ ბ.ჩხაიძემ, ივლიანე ნინიძემ, დიომიდე მჭედლიშვილმა, ყარამან ნინიძემ, ივლიანე ჭკეიშვილმა, იოსებ ჯუბაძრიამ და სოლომონ მჭეიშვილმა. ათ-ათი შაური: სანდრო ასათიანმა, დათა ასათიანმა და რაჟდენ კილურაძემ.

ასკანის მამასახლისი ს. მჭეიშვილი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** უმაღლესად ნაბრძანებია, რომ იმ პენსიასა და შემწეობას, რომელიც ეძლევათ შეუძლებელ მეცნიერთ, ლიტერატორთ და პუბლიცისტებს, აგრეთვე მათ ქვრივობლებს, ამიერიდან ეწოდოს: „პენსია და შემწეობა იმპერატორის ნიკოლოოზ მეორის სახელისა“.

სახელმწიფო საბჭომ სხვათა შორის უნდა განიხილოს პროექტი საკომერციო განათლებისა რუსეთში.

**ლონდონი.** პამირის გამიჯვნის ინგლისურ კომისიის წევრმა ერთ ჟურნალისტთან საუბრის დროს სთქვა, რომ ის კარგად მიიღეს რუსეთის ოფიცრებმა. ხსენებულ წევრმა სთქვა, რომ პამირზე დიდის ჯარის შენახვა თითქმის შეუძლებელიაო და რომ რუსეთი მეგობრულად ეპყრობა ინგლისსაო.

პეტერბურგის ბირჟა, 27 ოქტომბ.

| | მყიდვ. ფასი | | გამყიდ. ფასი | | გაყიდ. ფასი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | | 7,40 | | — | „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — | „ | — | „ | $209\frac{1}{2}$ | |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — | „ | — | „ | $99\frac{3}{4}$ | |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | — | „ | 101 | | — | „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | — | „ | $99\frac{1}{2}$ | | — | „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — | „ | 101 | | — | „ |
| 5% იმავე ბანკისა . | — | „ | $99\frac{1}{2}$ | | — | „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — | „ | 98 | | — | „ |


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ც. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. ხოროკან შჩერბინინისა**, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**, 5—6: საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

## კბილის ექიმი ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—21)

ივანე იაკობის ძე

## დოლგოლენკო

იღებს მრწმუნებელთ ქ. გორში, სახლი ონიკოვისა, სასამართლოს განყოფილების პირდაპირ.

(5—1969—2).

გამოვიდა კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

1) „საჩუქარი“ (ლექსთა კრება) მოზრდილ ყრმათათვის. შეკრებილი ი. გომელაურის მიერ. 48 გვერდი, ფასი ერთი შაური.

2) „დემონი“ მ. ლერმონტოვისა. თარგმნილი მ. გურიელისა. ავტორის, მთარგმნელისა და 8 სხვა სურათით კარგს ქაღალდზედ. ფასი 10 კ.

3) „ქალები“ (ანუ ყველა მეცნიერთა და ფილოსოფოსთა თქმული და გაგონილი ქალების შესახებ). შეკრებილი თ. სახოკიას მიერ. სურათით, მშვენიერს ქაღალდზედ 20 კ.

4) „რამდენიმე ლექსი“ ანდრო უჩამეიშვილისა, ფ. 15 კ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 28-го Октября 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.